პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მხედარი

1-ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ., 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

171 (1166) | კვირა, 14 ნოემბერი 1926 წ. | (1166) 171

## სამი ამოცანა.

ახალწვეულების მოსვლა ჩვენს ნაწილებში დაიწყო. კვლავ ახმაურდა რამოდენიმე ხნით მიყრუებული ყაზარმა, კვლავ გაივსო მისი კედლები ახალი ძალით.

ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანია წითელი ჯარის ცხოვრებაში, რომელიც ფართედ და შინაარსიანად უნდა იქნას გაშუქებული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ჩვენი სამხკორთა წინაშე ამ ქამად იქრება მთელი რიგი ამოცანებისა, რომელთა განხორციელებისათვის ისინი დაუყონებლივ უნდა შეუდგენ.

პირველ ყოვლისა სამხკორებმა სისტემატიურად უნდა მოგვაწოდონ შინაარსიანი კორესპონდენციები იმის შესახებ, თუ როგორი განწყობილებით მოვიდნენ ახალწვეულები წითელ ჯარში, როგორ შეხვდა მათ ნაწილი და ძველი წითელარმიელები, როგორია ახალწვეულთა პირველი შთაბეჭდილებები, რას ფიქრობენ ისინი თავის მომავალ სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებაზე და სხვა.

ყოველივე ამის გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი ცვლის სამხედრო აღზრდის საქმეში.

მეორე ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ სამხკორებმა ამ თავითვე უნდა დაუახლოვონ ჩვენს გაზეთს ახალგაზრდა მებრძოლები, გააცნონ მათ გაზეთი „წითელ-არმიელი", მოაწყონ მათ შორის მისი ხმამაღალი კითხვა. ეს უკანასკნელი დიდათ შეუწყობს ხელს ახალწვეულებს წითელი ყაზარმის მუშაობისა და ცხოვრების გაცნობაში.

მესამე ამოცანა—სამხკორთა წრეებში ახალწვეულების მიზიდვა. ჩვენი ახალწვეულები ამ თავითვე უნდა ჩაებან ჩვენი გაზეთის და ნაწილის კედლის გაზეთების თანამშრომლობაში. პირველი თემა, რომელზედაც ისინი დასწერენ—უნდა იყოს მათი პირველი შთაბეჭდილებები წითელ ყაზარმაში მოსვლისას და რას ფიქრობენ ისინი თავის მომავალ მუშაობაზე წითელ ჯარში. სამხკორთა წრეებში პირველ ყოვლისა მიზიდულ უნდა იქნან ყოფილი სოფკორები, მუშკორები და სხვა. მათგან უნდა შეიქმნეს მტკიცე ბირთვი, რომელიც შემდეგში თავის გარშემო შემოიკრებს ახალ ძალებს.

ასეთია ეს სამი ამოცანა, რომელთა შესრულებას ჩვენი სამხკორები უნდა შეუდგენ დაჟვრითი წესით.

განსაკუთრებით დაყოვნებას არ ითმენს პირველი ამოცანა.

რაც შეიძლება ბლომად წერილები ახალწვეულების მოსვლის შესახებ!

არც ერთი მნიშვნელოვანი რამ ამ მხრივ არ უნდა გამოეპაროს სამხკორს. ახალწვეულის პირველი ნაბიჯის შემოდგმა წითელ ყაზარმაში გაშუქებული უნდა იქნას დაწვრილებით და შინაარსიანად. ყველა ამ ამოცანების ნაყოფიერად გადაჭრით სამხკორთა მუშაობა სავსებით დადგება ფეხზე და მისი შემდეგი წარმატებით სვლა უზრუნველყოფილი იქნება.

სამხკორებო! ჯერი თქვენზეა. შეუდექით ამ ამოცანების მტკიცედ შესრულებას!

გააშუქეთ ახალწვეულთა მოსვლა წითელ ყაზარმაში, დაუახლოვეთ ახალწვეული ჩვენს გაზეთს, მიიზიდეთ სამხკორთა წრეებში ახალი ძალები!

## ეროვნული რევოლიუციონური ბრძოლა ჩინეთში

რევოლიუციონური ჩინეთი იმარჯვებს. ძლევამოსილი კანტონის ჯარები მედგრად მიიწევენ წინ. მათ შემუსრეს რეაქციონერი უ-პეი-ფუს ჯარები, და სრულ განადგურებამდე მიიყვანეს. მუსრავენ ჩინეთის ხალხის მეორე ჯალათის ცნობილ სუნ-ჩუან ფანის ლაშქარსაც. როცა კანტონი ებრძოდა უ-პეი-ფუს, სუნ-ჩუან-ფანი განზე იდგა. მას ეგონა რომ უ-პეი-ფუ და კანტონი ერთმანეთს დააუძლურებდენ და საბოლოო გამარჯვება მას დარჩებოდა. მაგრამ სუნ-ჩუან-ფანის მოკლე ჭკუის „შორსმჭვრეტელობამ" არ გასჭრა.

კანტონმა ერთის მოსმით გაფანტა უ-პეი-ფუს ჯარები და ფართედ გაშალა ეროვნულ რევოლიუციონური ბრძოლის ფრონტი.

უ-პეი-ფუს დამარცხებამ აიძულა სუნ-ჩუან-ფანი დაეწყო ბრძოლა გამარჯვებული კანტონის წინაალმდეგ, მაგრამ ბედი არც მას წყალობს. კანტონის ჯარებმა მას აგემეს სასტიკი დამარცხება და ყოველმხრივ სჩუტავენ. დღეს თუ ხვალ კანტონი ჩაიგდებს ხელში ჩინეთის უდიდეს ქალაქს შანხაის.

ამრიგად ეროვნულ გამანთავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთში აზვირთებული ტალღით აწვება შინაურ კონტრრევოლიუციას და ყოველ ნაბიჯზე ამარცხებს მას.

კანტონის ჯარების ძლევამოსილი წინსვლა იმედით ავსებს ჩინეთის მშრომელთა ფართო მასებს. მთელ ჩინეთში თანდათან იზრდება უცხოელ იმპერიალიზმის საწინააღმდეგო მოძრაობა, განსაკუთრებით ინგლისის წინააღმდეგ.

ანგარიშის გასწორების მომენტი დადგა! მრავალი წლების განმავლობაში უცხოელი და „შინაური მოძალადეების მიერ დაჩაგრული და ფეხქვეშ თელილი მშრომელი ჩინეთი აღსდგა კანტონის ჯარების სახით. ის იკაფავს გზას თავისუფლებისაკენ. ჯერ-ჯერობით, კონტრრევოლიუციასთან ბრძოლაში გამარჯვების სასწორი მისკენ იხრება.

მისი ძლიერი დარტყმის ქვეშ კონტრრევოლიუცია უკან იხევს. მაგრამ სრულ გამარჯვებაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. თუმცა კონტრრევოლიუცია მარცხდება, მაგრამ ის კიდევ ძლიერია. კონტრრევოლიუციის მთავარი ძალა—ჩჟან-ზო-ლინის ჯარების სახით ხელუხლებელია. არც უცხოეთის იმპერიალისტებს სძინავთ. ეს უკანასკნელები ყოველგვარ ზომებს იხმარენ, რომ დაამარცხონ რევოლიუციონური კანტონი. ჩჟან-ზო-ლინი გამალებით ემზადება ბრძოლისათვის.

უ-პეი-ფუს და სუნ-ჩუან-ფანის დამარცხებას მოყვება ჩჟან-ზო-ლინთან და მთელ გაერთიანებულ იმპერიალისტურ ძალებთან ბრძოლის დაწყება. ჩინეთის ეროვნულ რევოლიუციონურ მოძრაობას მოუხდება მთელი თავისი ძალების დაჭიმვა. მტერი მეტად ძლიერია და ის ადვილად არ დასთმობს ბრძოლის ველს.

სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა ახალ თავისუფალ ჩინეთსა და ძველ მონურ, კონტრრევოლიუციონურ ჩინეთს შორის დაიწყო. ჩინეთის მშრომელთა მთელი სიმპატია და თანაგრძნობა ეროვნული რევოლიუციონური მოძრაობის მხარეზეა. მაშასადამე საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩება.

—ე.

# ინგლისის მუშათა გაფიცვები საფრთხის წინაშე სდგას

## მაღაროს მუშათა დელეგ. კონფერენცია დათმობის მომხრეა

### მაღაროს მუშათა ადგილობრივი ორგანიზაციები დათმობის წინააღმდეგ მიდიან

### ჩინეთში იზრდება ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა

### ოდესაში მოვიდა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რუშდი-ბეი

## ნაბიჯი დათმობისკენ

ინგლისის მაღაროს მუშათა დელეგატების კონფერენციამ დაავალა კავშირის აღმასკომს დაუყონებლივ განაახლოს მოლაპარაკება მთავრობასთან საraionო შეთანხმებათა საფუძველზე.

კონფერენციამ მოითხოვა მხოლოდ ტრიბუნალის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ზოგიერთ საერთო პირობებს.

წინააღმდეგ წავიდა კომუნისტები და მთამადნის მუშათა კავშირის მდივანი კუკი, რომლებიც მოითხოვდენ მუშათა მთელი მასის დაკითხვას.

სარაიონო შეთანხმება ნიშნავს ერთიან ხელფასის დაცვაზე მუშების უარს და მთამადნის მუშათა კავშირის დანგრევას.

## დათმობის წინააღმდეგ ხმა მასებისა

ლიუსის, მერტონისა და მარდის (სამხრეთ უელსის ოლქი) მუშათა მიტინგებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომლებიც სარაიონო შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც მოასწავებს სამუშაო დღის გადიდებასა და ხელფასის შემცირებას.

## მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ ჩინეთში

ჩინეთში იზრდება მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ. დაარსებულ იქნა ახალი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ აგიტაციას შეამცირონ ვაჭრობა ინგლისის ვაჭრებთან და მოითხოვენ ბოიკოტს ინგლისის გემების მიმართ. შესდგა აგრეთვე საზოგადოება, რომელიც იბრძვის უცხოელ სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებათა გასაბათილებლად და მოითხოვენ ყველა უკანონო ხელშეკრულებათა მოსპობას.

## აჯანყება ჰოლანდიის ჯარებში

უკანასკნელ დროს ჰოლანდიის გარნიზონებში მოხდა ჯარის კაცების მთელი რიგი აჯანყებები.

ასენში, ედეში და აპელდორნში ადგილობრივ გარნიზონებმა უარი განაცხადეს ოფიცრებისადმი მორჩილებაზე. დასაწყნარებლად გამოწვეულ გვარდიის ნაწილებმა უარი განაცხადეს სროლაზე.

აჯანყება გამოწვეულია თადარიგის საბანაკოდ გამოწვევით მინდვრის გაძლიერებულ მუშაობის დროს და აგრეთვე ოფიცრების მხრივ ცუდი მოპყრობით.

# საბჭოთა კავშირში

## ტევფიკ-რუშდი-ბეისა და ჩიჩერინის შეხვედრა

12 ნოემბერს დილით, ოდესაში ჩამოვიდა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ-რუშდი-ბეი. ნავთსადგურში მას შეხვდა სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი, უკრაინის მთავრობის წარმომადგენელი ამხ. შლიხტერი, საბჭოთა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა.

## საუბარი ტევფიკ-რუშდი ბეისთან

კორესპონდენტებთან საუბარში ტევფიკ-რუშდი-ბეიმ განაცხადა:

„სსრკ-სა და ოსმალეთის ურთიერთ დამოკიდებულებაზე ლაპარაკი ზედმეტია: მათი მეგობრული ურთიერთობა ისედაც ცხადია. ჩვენი აქ მოსვლა გამოწვეულია სურვილით მენახა კვლავ დიდი ქვეყანა, რომელშიაც მე დავყავი დრო ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დელეგატის სახით". დასასრულ რუშდი-ბეიმ განაცხადა: „საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის მტკიცე მეგობრობა ერთ ერთი აუცილებელი პირობათაგანია საერთაშორისო მშვიდობიანობისა ახლო აღმოსავლეთში".

# საქართველოში.

## მინერალური სიმდიდრე

შორაპნის მაზრაში აღმოჩენილ იქნა ტყვიის მადანი, ხოლო ქუთაისის მაზრაში—გოგირდის კოლჩედანი.

ზამთრის დადგომის გამო შემდეგი ძიებითი მუშაობა გადაიდო 1927 წლის გაზაფხულამდის.

## კონიაკის ქარხანა

ბაღდადის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა ამთავრებს კონიაკის ქარხნის შენობას, რომელიც ამუშავდება ერთ თვეში.

## უბედური შემთხვევა რკინის გზაზე

სადგურ წიფაში 12 ნოემბერს, ღამის სამ საათზე დაიმსხვრა კაზანცევის მუხრუჭით მოწყობილი საცდელი მატარებელი. წიფის გვირაბში დაახლოებით ორი ვერსის გავლის შემდეგ მატარებელმა სიჩქარეს უმატა, რის შენელება ვერ შესძლეს ორთქლმავალებმა. გამოყენებულ იქნა სხვა და სხვა საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. მატარებელი შეუჩერებელი სისწრაფით დაქანდა და დაიმსხვრა სადგურ წიფაში გამაფრთხილებელ ჩიხთან.

დაიმსხვრა ორი ორთქლმავალი და 30 ვაგონი. მთავარი ხაზი ნამსხვრევებითაა სავსე 50 საჟენზე.

### მ ს ხ ვ ე რ პ ლ ნ ი

მატარებლის დამსხვრევის გამო დაიღუპენ: 1. ტფილისის დეპოს გამგელი ბორის ტრიფონოვი, 2. ხაშურის ბრიგადის მთავარი კონდუქტორი ივანე ქურდაძე, 3. საბარგო კონდუქტორი არქიპო გველესიანი, 4. მემანქანის თანაშემწე დიმიტრი მიქაძე.

მძიმედ დაიჭრენ: 1. მემანქანე არჩილ დეკანოსიძე, 2. წევის ინჟინერი მიხეილ ლობანსკი, 3. მოძრაობის დარგის ინჟინერი გიორგი მესხელიშვილი, 4. კონდუქტორი ლეონტი კაპლეი, 5. წევის რევიზორი გაბრიელ ტერ არუთინოვი, 6. წევის რევიზორი აბზიანიძე. 7. სახელოსნოს უფროსი კოზმინსკი, 8. მემანქანე სიმონ პალატნიკოვი.

ამათ გარდა მსუბუქათ დაიჭრა 11 კაცი. რამოდენიმე დაჭრილი საღამოსვე ჩამოიყვანეს ტფილისში.

# ᲡᲙᲞ (ბ) ᲛᲔ-15 ᲞᲐᲠᲢᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

## ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲠᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ

(ამხ. მოლოტოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვიდან)

ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო პარტკონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. მოლოტოვი, რომელმაც განმარტა, თუ რატომაა ოპოზიციის განხრა თავისი შინაარსით სოციალ-დემოკრატიული.

რომ სოციალიზმი ვაშენოთ, ამისთვის პირველყოვლისა, საჭიროა, ვირწმუნოთ მისი შესაძლებლობა საბჭოთა კავშირში. ის, ვისაც ეს არ სწამს, რასაკვირველია, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სახის შეცვლა აუცილებელია.

ამხ. ტროცკი ამბობს, რომ საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობისა უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან, ვინაიდან სოციალიზმის შენება ჩვენ შეგვიძლია დასავლეთის პროლეტარიატის სახელმწიფურ დახმარების პირობებში.

ამხ. ამხ. ზინოვიევი და კამენევი მე-14 პარტკონფერენციაზე აძლევდენ იმას, რომ სოციალიზმის აღმშენებლობა ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია. მაგრამ ამხ. ამხ. ზინოვიევისა და კამენევის აზრი დღეს შეიცვალა და ისინი უკვე არ არიან იმის თანახმა, რასაც თვითონ ლაპარაკობდენ წინად. ამხ. ამხ. კამენევისა და ზინოვიევის აზრით, ჩვენი ტეხნიკურად და კულტურულად ჩამორჩენილობის გამო ჩვენი ძალებით სოციალიზმს ვერ ავაშენებთო.

რასაკვირველია, ეს არაა სწორი. პარტიამ იცის, რომ სიძნელენი ჩვენს წინაშე დიდია, მაგრამ მას კარგად ახსოვს ლენინის სიტყვები, რომელიც ამბობდა:

„10—20 წელი სწორი დამოკიდებულება გლეხობასთან და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო ფარგლებში“. მაშასადამე, საქმე არა სიძნელეებშია, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის სწორ ურთიერთობაში, რომლის მნიშვნელობას ოპოზიცია ვერ აფასებს, როგორც წესი და რიგია.

ვერ აფასებენ გლეხობის როლს ჩვენს რევოლიუციაში სოციალ-დემოკრატებიც (მენშევიკები).

რასაკვირველია, არ შეიძლება აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ჩვენი ოპოზიცია წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიას. ამას არავინ არ ლაპარაკობს. მაგრამ მათი მიდგომა ჩვენი ძირითადი ამოცანებისადმი მოგაგონებს სოციალ დემოკრატიის ხაზსა და პოლიტიკას. აი რატომაა, რომ დღევანდელი ოპოზიცია სამართლიანად იწოდება სოციალ-დემოკრატიული განხრის სახელით.

სცდება ოპოზიცია ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის შეფასების საქმეში.

თუ რომ ჩვენ შევადარებთ შეფასებას, რომელსაც აძლევენ ჩვენს პროლეტარიატის დიქტატურას მენშევიკები და ამხანაგები ოპოზიციიდან, განსხვავებას თითქმის ვერც დავინახავთ. მენშევიკები ამბობენ, რომ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა კი არა, სკპ-ს დიქტატურაა. ხოლო ზოგიერთი ოპოზიციონერები იქამდის მივიდენ, რომ თითქოს ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურას სცვლის სეკრეტარიატის (ცეკა) დიქტატურა. ეს ეწერა ერთ ფრაქციულ საბუთში, რომელიც ვრცელდებოდა ტულაში. რასაკვირველია, ამის შემდეგ ოპოზიციას სრულიად სამართლიანად სდებენ ბრალს სოციალ- დემოკრატიულ განხრაში.

პარტიას არ შეუძლია შეურიგდეს ამ განხრას.

პარტიას უფლება აქვს სთქვას: თუ გინდა იყო ბოლშევიკი, ბოლშევიკს უნდა ჰგავდე, ცოტათი მაინც უნდა გქონდეს რევოლიუციონერის, პროლეტარული მებრძოლის, ლენინელის სახე. ხოლო ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლენინიზმის საწინააღმდეგო იდეის გავრცელება და პარტიაში დარჩენა ყოვლად შეუთავსებელია. ჩვენ ამას გვასწავლიდა ლენინი და თავისთავად ცხადია, რომ თუ ოპოზიცია წავა უფრო ცუდი გზით, თუ რომ ის გააღრმავებს თავის სოციალ-დემოკრატიულ განხრას, ამით ის შესდგება პარტიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლის გზაზე. პარტია ვერ შეურიგდება სოცია-დემოკრატიული განხრის განვითარებასა და გაღრმავებას, ვინაიდან ასეთ პირობებში პარტიის აღმშენებლობა და განვითარება შეუძლებელია. პარტიამ ბოლო უნდა მოუღოს ამ გაღრმავებას.

პარტია ყოველთვის აცხადებდა, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო ფარგლებში, რომ მხოლოდ მაშინ გაჰქრება საშიშროება სოციალისტურ რევოლიუციისთვის ერთს ქვეყანაში. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ პრაქტიკაზე ისტორიული გამარჯვება სოციალიზმისა ერთ ქვეყანაში აუცილებლად გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას სხვა ქვეყნებშიც.

ამიტომ, როცა ამხ. ტროცკიმ თავის სიტყვაში დააყენა საკითხი: „უეჭველია თქვენ ჰფიქრობთ, რომ უნდა გამოვიდეთ ისეთი პერსპექტივიდან, რომ უახლოეს 30—50 წელს შიგნით ევროპის პროლეტარიატი ძალაუფლებას ხელში ვერ აიღებს“—არ შეიძლება ჩავთვალოთ სხვანაირად, თუ არა პარტიის მიმართ ცილისწამებად. პარტია არაა დაეჭვებული იმაში, რომ საერთაშორისო რევოლიუციის ლოდინი ჩვენ ასე დიდხანს მოგვინდება.

საბჭოთა კავშირი, ინგლისის მუშათა კლასის რევოლიუციური ბრძოლა, ჩინეთის რევოლიუცია, რომელიც თანდათან ვითარდება —აი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მთავარი გზები. ამიტომ სხვა ქვეყნების მუშებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა ყოველთვის დაკავშირებულია საერთაშორისო მუშათა რევოლიუციის ინტერესებთან.

ვნათლავთ რა ოპოზიციას სრულიად სამართლიანად სოციალ-დემოკრატიული განხრის სახელით, ჩვენ ამითვე ვეუბნებით კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომ ამ განხრას ჩვენ ვებრძვით და მოუწოდებთ ყველა კომუნისტებს სოციალ დემოკრატიულ განხრის წინააღმდეგ ბრძოლისკენ, სადაც არ უნდა სცდილობდენ ისინი თავის შეფარებას.

ამ საქმეში ჩვენ არ შეგვიძლია დაეჭვება, რომ ჩვენი პარტია, როგორც ერთი კაცი, ერთსულოვანი იქნება.

## ᲐᲛᲮ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

აღნიშნავს რა სიტყვის დასაწყისში, რომ სოციალიზმის გამარჯვება ცალკე ქვეყნებში სავსებით შესაძლებელია, ამხ. სტალინი ამბობს, რომ კამათში ამ საკითხის გარშემო წინააღმდეგ მიდიოდენ, განსაკუთრებით ამხ. ზინოვიევი, რომელიც მიუთითებდა ენგელსზე. მაგრამ ამხ. სტალინი ეხება რა ენგელსის მიერ მოცემულ პროლეტარულ რევოლიუციის პროგრამას, აღნიშნავს, რომ ამ პროგრამის 9 მეათედი უკვე განხორციელებულია ჩვენი რევოლიუციის მიერ. ქვეით ამხ. სტალინი ამბობს, რომ ჩვენი გზა,—ეს არის მარქსის—ენგელსის—ლენინის გზა, მაგრამ მარქსიზმი ჩვენთვის დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისთვის.

ამხ. სტალინი აკრიტიკებს ოპოზიციის ბელადების შეხედულებებს და მთელი რიგი მაგალითებით ამტკიცებს ლენინის დებულების სისწორეს.

### ᲐᲛᲮ. ᲙᲐᲛᲔᲜᲔᲕᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲣᲗᲛᲔᲜᲓᲡ ᲐᲛᲮ. ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡ

ამის შემდეგ ამხ. სტალინი ეხება ამხ. კამენევის გამოსვლას და აღნიშნავს, რომ „მისი გამოსვლის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ გაუადვილოს ამხ. ტროცკის თავისი პოზიციის დაცვა,—გაუადვილოს მას ბრძოლა ლენინიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ამ მიზნით ამხ. კამენევმა იკისრა დაემტკიცებია, რომ ამხ. ლენინის ძირითადი წერილი, რომელიც დაწერილია 1915 წელს და რომელიც ეხება სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ერთ ქვეყანაში, თითქოს არ ეხებოდეს რუსეთს და აქ ლენინს თითქოს მხედველობაში ჰქონდეს არა რუსეთი, არამედ სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. როგორ სცდილობს ის დაამტკიცოს ეს? ის ლაპარაკობს, რომ „ამ წერილის გამოშვების ორი კვირის შემდეგ ლენინმა გამოაქვეყნა ცნობილი თეზისები რუსეთის მომავალი რევოლიუციის ხასიათის შესახებ, სადაც მან განაცხადა, რომ მარქსისტების ამოცანა იწურება იმით, რომ მიღწეულ იქნას რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის გამარჯვება, და რომ, ამ მითითებით, ლენინი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ რუსეთის რევოლიუცია უნდა გაჩერებულიყო მის ბურჟუაზიულ ფაზაში და არ გარდაქმნილიყო სოციალისტურ რევოლიუციად. ხოლო ვინაიდან ლენინის ეს წერილი სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ ლაპარაკობს არა ბურჟუაზიულ, არამედ სოციალისტურ რევოლიუციაზე, ცხადია, რომ ლენინს არ შეიძლება მხედველობაში ჰქონებოდა რუსეთი ამ წერილში“-ო.

ამხ. კამენევის ამ დებულების გასაბათილებლად ამხ. სტალინს მოჰყავს მთელი რიგი საბუთები და ამტკიცებს, რომ კამენევი ტლანქად ამახინჯებს ამ საკითხში ლენინის აზრს. მაგრამ არიან მოწმეები კამენევის წინააღმდეგ არა საბუთების, არამედ ცოცხალი ადამიანების სახით. 1915 წელში ამხ. ტროცკიმ გაიგო ამხ. ლენინის წერილი ისე, როგორც ეს ესმოდა ამხ. ლენინს, როგორც ეს გვესმის ყველა ჩვენგანს. მე-14 პარტკონფერენციამ გაიგო ამხ. ტროცკის წერილი ისე, როგორც ეს ესმოდა ამხ. ტროცკის, როგორც ის გვესმის ჩვენ-ყველას.

ხოლო როგორ მოექცენ ამხ.ამხ. კამენევი და ზინოვიევი მე-14 პარტკონფერენციის ამ რეზოლიუციას? განა ეს ფაქტი არაა, რომ რეზოლიუციის გეგმა გამომუშავებულ და მიღებულ იქნა კომისიის მიერ, რომელშიაც შედიოდენ ამხ. ამხ. ზინოვიევი და კამენევი? განა ეს ფაქტი არაა, რომ ამხ. კამენევი თავმჯდომარე იყო მე-14 კონფერენციის, რომელმაც ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, ხოლო ამხ. ზინოვიევი განა ამ რეზოლიუციაზე მომხსენებელი არ იყო?

გამოდის რომ მე-14 პარტკონფერენციის დროის კამენევი მე-15 პარტკონფერენციის კამენევის წინააღმდეგია.

### ᲐᲛᲮ. ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ქვევით ამხ. სტალინი გადადის ამხ. ზინოვიევის ოპოზიციის გარჩევაზე.

— ამხ. ზინოვიევმა—ამბობს ის—აიღო ამოცანა დაემტკიცებია, რომ ოპოზიციის ბელადები წარმოადგენენ თითქმის ერთად-ერთ რევოლიუციონერებს ერთად-ერთ ინტერნაციონალისტებს მთელს ქვეყანაზე.

ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს წინააღმდეგობათა ორ რიგს: წინააღმდეგობა შინაური სახისა და წინააღმდეგობა გარეშე სახის.

ამხ. ზინოვიევის უბედურება იმაშია, რომ ის ვერ ჰხედავს განსხვავებას ამ ორი სახის წინააღმდეგობათა შორის.

ამხ. ზინოვიევსა და მასთან ამხ. ტროცკის მოჰყავთ ლენინის თხზულებებიდან ადგილები იმის შესახებ, რომ „სოციალისტური რევოლიუციის სრული გამარჯვება წარმოუდგენელია ერთს ქვეყანაში და მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას რამოდენიმე მოწინავე ქვეყნებისას მაინც, და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება არ ძალუძს ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატსო. მაგრამ ეს ხომ დაბნევაა! განა პარტია ამბობდა ოდესმე, რომ სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში შეუძლია მარტო ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს? სად იყო ეს? როდის? დეე, მიგვითითონ. განა პარტია ლენინთან ერთად ყოველთვის არ ამბობდა, რომ სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სოციალიზმი რამოდენიმე ქვეყანაში გაიმარჯვებსო? განა პარტიას არ აუხსნია ათ და ასჯერ, რომ არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვება და მისი სრული და საბოლოო გამარჯვება.

პარტია ყოველთვის გამოდიოდა იქიდან, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში არის სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა ამ ქვეყანაში, მასთან ეს ამოცანა შეიძლება გადაჭრილ იქნას ერთი ქვეყნის ძალებით.

ამხ. ამხ. ზინოვიევსა და ტროცკის მოჰყავთ ლენინის თხზულებებიდან ადგილები, სადაც ნათქვამია, რომ გარეშე მტერს შეუძლია დაანგრიოს ჩვენი რევოლიუცია.

ლენინი ამბობს, რომ ჩვენ არ ვართ უზრუნველყოფილი ინტერვენციის შესაძლებლობისაგან და ეს სავსებით მართალია. მაგრამ განა პარტიას უთქვამს ოდესმე, რომ ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენს ქვეყანას ინტერვენციის საშიშროებისაგან საკუთარი ძალებით? განა პარტია არ ამტკიცებდა და არ ამტკიცებს, რომ ინტერვენციისაგან უზრუნველყოფას ჩვენ მოგვცემს მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება რამოდენიმე ქვეყნებში. მაგრამ, განა შეიძლება ამის მიხედვით ამტკიცო, რომ სოციალიზმის აშენება ჩვენ ქვეყანაში არ შეუძლია ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს?

ამხ. ზინოვიევი ბრალს სდებს პარტიას იმაში, რომ თითქოს მას გავიწყებოდეს პროლეტარული რევოლიუციის ინტერნაციონალური პირობები.

განა ყველაფერი ეს სასაცილო არაა?—ამბობს ამხ. სტალინი. სად, როდის იყო ეს, რომ პარტიამ ვერ შეაფასა მუშათა კლასის ინტერნაციონალურ პირობების მნიშვნელობა, ვერ დააფასა ინტერნაციონალური პირობები რევოლიუციის გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში?

ამის დასამტკიცებლად ამხ. სტალინს მაგალითისთვის მოჰყავს კომინტერნი, რომელიც შექმნილია ჩვენი პარტიის თაოსნობით, მოჰყავს პროფკავშირთა ერთიანი ფრონტის პოლიტიკა, ინგლისის მაღაროს მუშებისადმი დახმარება და სხვა.

— არა ამხანაგებო ოპოზიციიდან—განაგრძობს ამხ. სტალინი, რომ ჩვენ დროში ინტერნაციონალური რევოლიუციონერი რომ იყო, უნდა იდგე იარო და ყოველმხრივ უნდა დაუჭირო მხარი ჩვენს პარტიას, რომელიც კომინტერნის მოწინავე რაზმს წარმოადგენს. ხოლო თქვენ კი ანგრევთ, ასუსტებთ მას.

დროა შევიგნოთ ამხანაგებო ოპოზიციიდან, რომ, კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებით, თქვენ უკვე აღარ ხართ რევოლიუციონერები, ინტერნაციონალისტები. დროა გაიგოთ, რომ თქვენ რევოლიუციონერი - ინტერნაციონალისტები კი არა, არამედ მოლაყბეები ხართ რევოლიუციიდან, ინტერნაციონალიზმიდან.

დროა გაიგოთ, რომ თქვენ არა საქმის რევოლიუციონერები ხართ, არამედ რევოლიუციონერები კონტინენტის გაბერილი ფრაზების. დროა გაიგოთ, რომ თქვენ არა საქმის რევოლიუციონერები, არამედ კინო-რევოლიუციონერები ხართ (სიცილი, ტაში).

### ᲐᲛᲮ. ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

ამხ. ტროცკის განა ხედავს, რომ პერმანენტული (განუწყვეტელი) რევოლიუციის თეორიის ავთვითარი დამოკიდებულება არა აქვს საკითხთან ჩვენი რევოლიუციის ხასიათისა და შესაძლებლობათა შესახებ. მართალია ეს თუ არა?

ამხ. ტროცკის წერილის გამო ამხ. ოლმინსკისადმი (1921 წ-ის დეკემბერი) ამხ. სტალინი ამბობს: ტროცკის აზრით გამოდის, რომ პერმანენტული რევოლიუციის თეორია „სავსებით გამართლდა ჩვენი პარტიის პოზიციასთან 1917 წლიდან“. თუ რომ ეს ასეა, შეიძლება გამოტანილ იქნას მხოლოდ ერთი დასკვნა: რომ ტროცკი აძლევდა და აძლევს ამ თეორიას გადამწყვეტ მნიშვნელობას მთელი ჩვენი პარტიისთვის.

შემდეგ ამხ. სტალინი მიუთითებს, რომ ტროცკის აზრით გამოდის, რომ პერმანენტული რევოლიუციის თეორია, გამართლდა 1917 წელს და რომ ბოლშევიკებმა 1917 წლიდან გადაუხვიეს შეუმჩნევლად პერმანენტული რევოლიუციის თეორიის ფეხზე დადგენ.

საერთოდ ტროცკის აზრით გამოდის, რომ მოხდა ბოლშევიკების გადაიარაღება 1917 წლიდან“ პერმანენტული რევოლიუციის თეორიის საფუძვლებზე და რომ ეს თეორია ამრიგად „მთლიანად გამართლდა“. მაგრამ არის თუ არა ნამდვილად ასე? არა.

ლენინის მიხედვით პერმანენტული რევოლიუციის თეორია ნახევრად მენშევიკური თეორიაა, რომელსაც ავიწყდება გლეხობის როლი რუსეთის რევოლიუციაში.

გასაგებია მხოლოდ ის, რომ როგორ „გამართლდა“ ეს ნახევრად მენშევიკური თეორია ჩვენი პარტიის პოზიციასთან თუნდაც „1917 წლიდან დაწყებული“.

### ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ.

ამხ. ტროცკი განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობდა საკითხს საშუალო გლეხის შესახებ. ის განიხილავს გლეხს, როგორც ისე ვსთქვათ, რაღაც მუდმივსა და უცვლელს.

მაგრამ ბოლშევიკები არასოდეს არ უყურებდენ ასე საშუალო გლეხობას. ამხ. ტროცკიმ, როგორც სჩანს დაივიწყა, რომ ბოლშევიკებს აქვს სამი გეგმა გლეხთა ძირითადი მასის მიმართ. ერთი გეგმა ნაანგარიშევია ბურჟუაზიული რევოლიუციის პერიოდისთვის, მეორე გეგმა—პროლეტარულ რევოლიუციის პერიოდისთვის, და მესამე გეგმა—საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ პერიოდისთვის. პირველ პერიოდის გეგმაში ბოლშევიკები ამბობდენ: მთელ გლეხობასთან ერთად მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციისას—ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციისთვის.

მეორე პერიოდში ბოლშევიკები ამბობდენ: ღარიბებს გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიისა და ბობოლების წინააღმდეგ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციისას— სოციალისტურ რევოლიუციისათვის.

რას ნიშნავს საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაცია? ეს ნიშნავს, რომ ავიყვანოთ ის პროლეტარიატის პოლიტიკურ მეთვალყურეობის ქვეშ, არ ვენდოთ მას, მივიღოთ ყოველგვარი ზომა იმისთვის, რომ ის არ გაგვექცეს ხელიდან.

მესამე პერიოდში, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით, ბოლშევიკები ამბობენ: ღარიბთან ერთად, საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირში, წინააღმდეგ კაპიტალისტური ელემენტების სოფლად და ქალაქად—სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებისთვის.

ბოლოს საქმე იმაში სრულებით არაა, რომ პროლეტარიატს კონფლიქტი და წინააღმდეგობა ექნება საშუალო გლეხობის ერთ ნაწილთან. პარტიისა და ოპოზიციის შორის უთანხმოება ამაში სრულიად არ გამოიხატება. უთანხმოება იმაშია, რომ პარტია სთვლის რომ უთანხმოებისა და შესაძლებელ კონფლიქტების გადალახვა შეიძლება ჩვენი რევოლიუციის საკუთარი ძალებით, ხოლო ტროცკი და ოპოზიცია ფიქრობენ, რომ ეს წინააღმდეგობა და კონფლიქტები შეიძლება დაძლეულ იქნას „მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლიუციის ასპარეზზე“.

# ახალი ცვლა მოდის

## ყოველმხრივად მოვეწყვეთ

მე-2 ლეგიონი

...ენი ლეგიონი სრულიად მო...ბილი ხვდება ახალწვეულებს. ...ზარმები შეკეთებულია, შეთე...ბული, მოეწყო სამზარეულო. ...რაგებული იქნა ტახტები ახ...ვეულებისათვის. კარანტინი ...თული იქნა ლოზუნგებით, პლაკატებით და სხვა. წინდაწინვე გამოყოფილი იქნა კარანტინში მომუშავეთა ჯგუფი, რომლებიც ჩაატარებენ პოლიტსაათებს და საუბრებს ნაწილში წარმოებული მუშაობის შესახებ.

ხატისკაცი.

## ...ვაწყვეთ ცნობათა მაგიდა

მე-4 ლეგ. 9 ასეული.

...ლის ლენინის კუთხეში მოვა...თ ცნობათა მაგიდა, რომელიც ... სამსახურს უწევს წითელ არ...ებს სხვა დასხვა საკითხების ...ვევაში. ყოველ დღე აუარება ...თხვები მისდის მაგიდას, რო...ზედაც ყოველთვის დაწვრილე...ი პასუხს იძლევა ასეულის ...იტხელი. კითხვებზე პასუხების ...მა ხდება საღამოობით, რო...აც მთელი ასეულის წითელ ...იელები იყრიან თავს ლენინის ...ხეში.

...ნობათა მაგიდა დიდ სამსახუ... უწევს წითელ არმიელებს და ...დია ის არ შეასუსტებს თავის ...მობას.

ა. იმერლიშვილი.

## ხშირად გვესაუბრებიან

ქუთ. სამხედრო გოსპიტალი.

ჩვენი გოსპიტალის ცხოვრება ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა. საავადმყოფოში მოეწყო ბიბლიოთეკა სამკითხველო, რომელიც დიდ სამსახურს უწევს ავადმყოფ წითელ არმიელებს ლიტერატურის მიწოდებით. ხშირად მოდის ამხ. სამხკომი წითელ არმიელებთან და ატარებს საუბრებს სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე.

ყურადღება ექცევა აგრეთვე სანიტსაუბრებს. ექიმები სისტემატიურად მოდიან და გვესაუბრებიან სხვა და სხვა გადამდები ავადმყოფობისა და მათ წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღების შესახებ.

საავადმყოფოში კვება და მოპყრობა ავადმყოფებისადმი დამაკმაყოფილებელია.

ქ—ძე.

## ...ზადა ვართ ახალწვეულების შესახვედრად.

1-ლი მესანგრე ასეული

...დღიდან წითელ არმიელების ...ადო შვებულებაში გაშვები...როგორც უფპოლიტშემად...ნლობა ისე დარჩენილი წი...ლ არმიელები შეუდგენ ყა...რმების გამშვენიერებას, და ...ლ მოკლე ხანში სრულიად ...ასხვაფერდა ყაზარმა. მოწ...ბილი არის ორ ოთახში კა...ნტინი შესაფერისი პლაკა...ებით, ლოზუნგებით და ძვე...ი კედლის გაზეთებით. ერთ ...თახში მოწყობილია პატარა ...ძრავი ბიბლიოთეკა რჩეული ...გნებით და ჟურნალებით. ...რანტინში არის აგრეთვე კი...ხვა-პასუხის რვეული. კომუჯრედს გამოყოფილი ყავს აქტიური ამხანაგები, რომლებმაც საუბრები უნდა ჩაატარონ კარანტინში იმ თემებზე, რომლებიც უფრო შესაფერისი იქნება ახალწვეულებისათვის.

10 ნოემბერს უკვე მივიღეთ 6 ახალწვეული, რომლებიც მოვათავსეთ კარანტინში. კარანტინმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე. აქედანვე შეუდექით მათთან შესაფერ ახსნა-განმარტებას ყაზარმის ცხოვრების შესახებ. კიდევ ველით ახალწვეულებს, რომლებსაც უფრო მომზადებული დაუხვდებით.

გ. კეკელია.

# მოსპეთ ნაკლოვანებანი

## კოოპერატივი რად გვინდა თუ ვერ მოვიხმართ.

1 ლი დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეული ერთხანს დიდ გაჭირვებაში იყო, იმის გამო, რომ არ იყო ნაწილში გახსნილი კოოპერატიული დუქანი. წითელ არმიელების ჯიბეს კერძო ვაჭრები აცალიერებდენ.

როგორც იქნა ამას წინად მოგვიგონეს და გაგვიხსნეს კოოპერატივი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა რადგან ვცილდებოდით ჩარჩ ვაჭრებს. სამწუხაროდ, რამოდენიმე ხნის შემდეგ დუქანი გადაიტანეს ნაწილიდან შორს. ვერცერთი წითელ არმიელი იქ ვერ მიდის აუცილებელ მოთხოვნილებების საგნების შესაძენად. იძულებული ვხდებით ისევ კერძო ვაჭრებს მივმართოდ, რომლებიც ერთი ორად გვახდევინებს ფასს.

საჭიროა მოგვიახლოვონ კოოპერატივი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთვის ის სრულიად უსარგებლოა.

ვ. ცინცაძე.

## სასადილო ნაწვიმარი წყლით ივსება

მე-2 ლეგიონის 1-ლი ათასეულის წითელ არმიელთა სასადილოს სახურავი ისეა დაზიანებული, რომ წვიმის დროს შეუძლებელია იქ შესვლა.

წყალი ღვარით ჩამოდის და წუწნავს მაგიდებს. კარგა ხანია ასეთ მდგომარეობაშია სასადილო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. საჭიროა ჩქარა გაიხედოს თვალებს სამეურნეო ნაწილი და მიიღოს სათანადო ზომები.

დ. გიგუაშვილი.

## სამხ. მომხ. საზ. „ბოეცის“ საყურადღებოთ.

ქ. ოზურგეთში მრავლად იმყოფებიან როგორც ქართულ, ისე რუსული ლეგიონების სხვა და სხვა ნაწილები. კოოპერატიულ დუქანზე მოთხოვნილება მეტად დიდია. წითელ არმიელებსა და საერთოდ აღნიშნულ ნაწილების შემადგენლობას კერძო ვაჭრებთან უხდებათ საქონლის ყიდვა და ტყავი სძვრებათ. კარგი იქნება, რომ სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება „ბოეცი“ აქაც გახსნიდეს ერთ კოოპერატიულ დუქანს და გვიხსნიდეს ჩარჩებისაგან.

ვ. ნარსია.

## ასე არ უნდა ხდებოდეს.

1-ლი ქართ. ლეგიონიდან მივლენილი ვიქენით ჯერ კიდევ გასულ ზამთარში რამოდენიმე წითელ არმიელები 1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის სკოლაში.

მაისის თვეში აქ ჩავეწერეთ რემედსში. თითეულმა გადავიხადეთ ხუთ-ხუთი შაური საწევროთ. მას შემდეგ ჩვენთვის არავის მოუცია საწევრო წიგნები, არც ის ვიცით გატარებულია თუ არა ჩვენი ფული დავთარში?

საჭიროა მიექცეს ყურადღება, ხომ რაიმე ბოროტებას არა აქვს აქ ადგილი?

ვანელი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## პარტიული ახალწვეულები ყაზარმაში

წითელი არმიის რიგებში ახლად მოსული წ./არმიელები გაცნობილ უნდა იქნან სამხედრო-პოლიტიკურ სწავლების ამოცანებსა და პოლიტიკურ პირობებს. ამის წარმატებით შესრულებას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ მაშინ, როცა წინასწარ და თავის დროზე იქნება მომზადებული უპარტიოთა შორის სამუშაოთ ის კომუნისტები, რომლებიც შევსებასთან ერთად მოდიან, ხოლო ამ საქმისთვის კომუნისტების მომზადება საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ იმათ სუსტად იციან არმიის პირობები.

პარტიულების მომზადება გასაწვევთაგან—უპარტიოთა შორის მუშაობისთვის საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ თვით 1904 წლიან პარტიულთა შორის ჩვენ ვხვდებით უარყოფით განწყობილებებს. ზოგ პარტიულს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს წითელი არმიის ცხოვრების მატერიალურ ყოფა ცხოვრებითი პირობების შესახებ. ცხადია არმიაში მოსვლისას შეხვდებიან რა ნაკლულოვანებათა მთელ რიგს, ჩვენი საერთო სიღარიბის გამო, ისინი აუტყდებიან ბრალდებებით არმიის აპარატს „მუშაობის არ ცოდნაში“ და სხვა.

ზოგ მათგანს არ ესმის დისციპლინის რაობა წითელ არმიაში, ხოლო ზოგიერთს კიდეც ეშინია მისი.

ზოგიერთ შემცდარად ესმის შინა პარტიული დემოკრატია წითელ არმიაში, ზოგიც კიდევ ფიქრობს, რომ უჯრედებს შეუძლია გაარჩიონ, გააკრიტიკონ და შესცვალონ მეთაურების ცალკე განკარგულებანი და მითითებები. ყველაფერი ეს აღმოფხვრილი უნდა იქნას. ჯერ ერთი რომ პარტიულები გაცნობილი უნდა იქნან წითელი არმიის სამსახურის ნამდვილ პირობებს და მუშაობას, რათა პირველი დღეებიდანვე ისინი გახდენ დისციპლინიანობისა ამტანიანობის მაგალითი.

მეორედ ისინი უნდა გაიცნონ იმას, თუ როგორია მოწყობილი არმიის პარტორგანიზაცია, მისი ამოცანები და როგორია ურთიერთ დამოკიდებულება პარტორგანიზაციებისა საერთოდ არმიისა და პოლიტიკურ აპარატთან.

მესამედ შევსების პარტიულები გაცნობილი უნდა იქნან პარტორგანიზაციის მდგომარეობასა და ამოცანებს, რომლებშიაც ისინი შედიან და დატვირთული უნდა იქნან ისინი მუშაობით მათი შეძლების და მიხედვით, რომლის ასრულებაშიაც უნდა დავეხმაროთ მათ. ყოველივე ამისთვის საჭიროა:

ჩატარებული იქნას ლეგიონში პარტიულთა რამოდენიმე კრება, რომელზედაც უნდა გაირჩეს ყველა ის საკითხები, როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრებით, რომლებსაც ჩაატარებენ ძველი პარტიულები, ისე უფ-პოლიტშემადგენლობის საუბრების საშვალებით პარტიულ შევსებასთან.

ა. ქ.

## მოგვეცით კოვზები და თასები.

მანევრების დროს ცხენ. ლეგიონის მეორე ესკადრონს მრავალი ჭურჭლეულობა დაემტვრა. ხის კოვზები მაინც სულ აღარ აქვთ წითელ არმიელებს. როგორ ჭამონ კერძი აღარ იციან. ამასთანავე ერთად აღარ გვაქვს თასები ჩაისთვის. საჭიროა სამეურნეო ნაწილი სასწრაფოდ მიიღებდეს ზომებს და უზრუნველგვყოფდეს აღნიშნულ საგნებით.

„ქურხული“.

# ...მაღლეს და საშუალო სასწავლებელ დამთავრებულ წითელარმიელებთან სამხედრო სწავლების შესახებ.

როგორც ვიცით, ის წითელ...რმიელები, რომელთაც დამთავ...ებული აქვთ უმაღლესი და სა...უალო სასწავლებლები, გადიან ...მხედრო სამსახურს მხოლოდ ...რთ წელს იმ პირობით, რომ ამ ...ის განმავლობაში სათანადო მო...ზადების შემდეგ ჩააბარებენ გა...ოცდებს თადარიგის საშუალო ...ეთაურთა შემადგენლობის თანა...დებობაზე. თუ წარსულ წელში ...კანასკნელების მზადების საქმე ...რ იყო დაყენებული თავის სიმა...ლეზე და გამოცდები მხოლოდ ...ამოდენიმე კაცმა ჩააბარა, წელს, 1903 წ. დაბ. წითელარმიელებთან ...ს უკვე გამოსწორებულია და თა...არიგის საშუალო მეთაურთა შე...ადგენლობის თანამდებობისთვის ...მზადება პირველ ქართულ დივი...ზიაში 100-მდე საშუალო ცოდნის ...ქონე წითელარმიელი. მათი მზა...ება სწარმოებს ლეგიონის სკო...ლებში, ხელმძღვანელებათ გამო...ყოფილი არიან მეთაურთა და ...პოლიტშემადგენლობის პირნი. პრო...გრამის პოლიტიკურ საკითხებს ...საშუალო ცოდნის წითელარმიე...ლები გადიოდნენ თვითმომზადე...ბის წესით. დიდი ყურადღება ექ...ცეოდა მათ პრაქტიკულ მუშაობას, ...რაც გამოიხატებოდა მათი უმცროს მეთაურის თანამდებობაზე გამოყენებისთვის ტაქტიკურ მეცადინეობის დროს და აგრეთვე შინა სამსახურის განვლაზე იმ მოცულობით, რაც მოეთხოვებოდა უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირს. თუმცა ერთწლიანების გამოცდები ჯერ არ დაწყებულა, მიუხედავათ ამისა სრული იმედია, რომ 1903 წლიანები მოგვცემს თადარიგის საშვალო მეთაურთა უმეტეს რიცხვს, ვიდრე 1902 წ. დაბ. წითელარმიელები.

ამ ჟამად 1904 წ. დაბ. წითელარმიელების მიღების წინ, ჩვენ უნდა გადავხედოთ ამ მუშაობას და გავითვალისწინოთ ყველა ის ნაკლი, რასაც წარსულში ქონდა ადგილი საშუალო და უმაღლეს ცოდნის წითელარმიელებთან მუშაობაში.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ახალწვეულების ის ნაწილი, რომელთაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებში დროულად არ იტყობინება თავის იმ შეღავათების შესახებ, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული სამხედრო სამსახურის გავლის საქმეში (სამსახურის ვადა—ერთი წელი), თუ მოემზადებიან და ჩააბარებენ განსაკუთრებულ პროგრამას. სწორედ მათი დაგვიანებით გაცნობას პროგრამის შესახებ უნდა მიეწეროს ის, რომ წარსულში ბევრმა საშუალო ცოდნის წითელარმიელებმა მიატოვეს სწავლა, ვინაიდან დაგვიანებული იყო და ირჩიეს კიდევ ერთი წელი დაეყოთ სამხედრო სამსახურში. წელსაც, რომ ასე არ განმეორდეს, სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ახალწვეულებს შორის უნდა წარმოებდეს მათი ყაზარმაში მოსვლის პირველ დღიდანვე.

გარდა ამისა „ერთწლიან“ წითელარმიელის მიერ პროგრამის გავლას ძლიერ უშლიდა ხელს რუსული ენის არა საკმარისად ცოდნა. ამის გამო მუშაობა „ერთწლიანების“ ჯგუფებში ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ რუსული ენის უკეთ მცოდნე პირებმა ამ ჯგუფების შემადგენლობაში დაეხმარონ უფრო სუსტ ამხანაგებს კონსპექტების შედგენით, გაუგებარ სიტყვების ახსნით და სხვა.

„ერთწლიანებთან“ მუშაობის დაწყების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი მაღალი კულტურული დონე. ეს მოითხოვს მათთან მუშაობის ხარისხის ამაღლებას და აგრეთვე მათ მიზანშეწონილად გამოყენებას დანარჩენ წითელარმიელთა შემადგენლობის შორის მუშაობაში.

რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს უკანასკნელ დირექტივების თანახმად ლეგიონის სკოლებში მიმდინარე წლიდან იქნება დაარსებული ცალკე პარტ-უჯრედები და ახკომკავშირის ჯგუფები იმ გუნდებში, სადაც იქნებიან უმაღლეს და საშუალო მცოდნე წითელარმიელები. ამ გუნდის კომუჯრედის მუშაობა ახლოდ იქნება შეთანხმებული და დაკავშირებული ლეგსკოლის უჯრედთან (გაერთიანებული კრებები, გეგმების შეთანხმება და სხვა). ახალ დებულების ძალით „ერთწლიანების“ მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან შეფარდებით ლეგიონის კლუბებში შესაძლებელია სპეციალურ წრეების და ჯგუფების დაარსება, მხოლოდ ამ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა უნდა ტარდებოდეს ლეგიონის პარტბიუროების მიერ (პოლიტიკურ ხასიათის ჯგუფებზე და წრეებზე). აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული „ერთწლიანების“ თავდაცვის დახმარების საზოგადოებათა აქტიურ მუშაობაში ჩაბმაზე.

„ერთწლიანების“ მომზადების მაღალი დონე მოგვცემს შესაძლებლობას რომ ჩავაბათ ისინი სკოლის გარეშე მუშაობაში წითელარმიელებთან—ლენკუთხეებში და კლუბში, რაც „ერთწლიანებს“ დაახლოვებს წითელარმიელთა მასასთან და მეორე მხრივ ამით ისინი მიიღებენ გამოცდილებას წითელარმიელების აღზრდის საქმეში, რაც სავალდებულოა მათთვის, როგორც მომავალ მეთაურებისათვის.

თადარიგის საშუალო მეთაურთა შემადგენლობისათვის უმაღლეს და საშუალო სასწავლებელ დამთავრებულ წითელარმიელებისგან — დიდი საყურადღებო და პასუხისმგებელი საქმეა და მოითხოვს ჩვენგან დიდ ყურადღებას.

ი. რუდოვსკი.

# სამხედრო ქრონიკა

## ახალგაზრდობის წვევამდე მზადება.

მიმდინარე წლის 1-ლ დეკემბრიდან დაიწყება წვევამდე მზადება 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდობისა. წვევამდე მზადება იწარმოებს სპეციალურ სამოსწავლო წერტებზე, რომლებიც მოწყობილნი არიან წვევამდელთა საცხოვრებელ ადგილებთან.

1906 წელში დაბადებულნი ახალგაზრდები წვევამდე მზადებას გაივლიან 1-ლ იანვრიდან 1927 წლისა.

## კენჭის ამოღება.

10 ნოემბერს დამთავრდა ახალწვეულ წითელ არმიელთა მიერ კენჭის ამოღება, რის შემდეგ ახალწვეულნი გადიგზავნენ სათანადო ნაწილებში.

ახალწვეულნი ამ ჟამად მოთავსებულნი არიან კარანტინებში. სანიტარულ დამუშავების შემდეგ ახალწვეულნი გადაყვანილი იქნებიან ყაზარმებში და მათთან დაიწყება სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა.

## საკონსულტაციო კომისიები.

ქართულ დივიზიების სამხედრო პროკურატურასთან არსდება და ამ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას იურიდიული საკონსულტაციო კომისია, საკონსულტაციო კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს სამხედრო პროკურატურა თავისი წარმომადგენლის სახით.

საკონსულტაციო კომისიაში შედიან: სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელი, დამცველთა კოლეგიის წევრი, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი, ფინსახკომის წარმომადგენელი, ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი და ამავე დივიზიის მომარაგების უფროსი.

საკონსულტაციო კომისიის მიზანს შეადგენს—მოაწყოს ხოლმე თბილისში მდგომ ქართულ ნაწილებში კითხვა-პასუხის საღამოები და ამ საშვალებით გაუწიოს დახმარება ყველა დაინტერესებულ პირს ცნობების მიწოდებით ამა თუ იმ საკითხზე. საკონსულტაციო კომისია მუშაობას აწარმოებს თვით სამხედრო ერთეულებში. წლის დამლევამდე მოწყობილ იქნება სულ 12 კითხვა-პასუხის საღამო ცხრა სამხედრო ნაწილში.

## პოლიტმეცადინეობა წითელ არმიელებთან ზამთრის პერიოდში.

წითელ არმიელებთან პოლიტმეცადინეობის საწარმოებლად შემოღებულია ორ წლიანი სამოსწავლო პროგრამა. ზამთრის პერიოდში სწავლების პირველ წელს განვლილი იქნება არმიელების მიერ 110 საუბარი.

ორწლიან პროგრამაში ყურადღების ცენტრი გადატანილია გასამხედროების ელემენტებზე.

საერთო განათლების ნაწილი დამუშავებულია სამ ვარიანტად: უცოდინართათვის, მცირე მცოდნეთათვის და მცოდნეთათვის.

# უცხოეთის არმიებში

### გერმანიის ბურჟუაზიის შეიარაღება

დღევანდელი გერმანია წარმოადგენს ბურჟუაზიის გაცხარებულ შეიარაღების ბანაკს პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამისათვის რეიხსვერის (მთავრობის ა მია) ფრთებ ქვეშ თავი შეფარებული აქვს გერმანიის ბურჟუაზიის მრავალ ათასიან მონარქისტულ არმიას.

ერთ-ერთ სანიმუშო კორპუსად ითვლება ბრანდერბურგის კორპუსი, რომელიც მოთავსებულია ბრანდერბურგის ოლქის ტერიტორიაზე.

კორპუსის უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობა შესდგება მხოლოდ იმპერატორის არმიის ყოფილი ოფიცრებისაგან. უმცროსი ოფიცრები ვალდებული არიან ყოველ წლიურად გაიარონ რვა კვირიანი კურსი რეიხსვერთან. სალდათებს იწვევენ ნებაყოფლობითი საფუძვლებზე ადგილობრივ ბობოლა, შეძლებულ გლეხების ოჯახებიდან.

კორპუსის შემადგენლობა: მებრძოლი ჯარები—ქვეითი და ცხენოსანი, მებარგულე, ტეხნიკური ნაწილები და საკავშირო ჯგუფები. კავშირი მათ ჰყავს იმ მუშაობის მისაჩქმალავად, რომელსაც აწარმოებს ფაშისტური სარდლობა. თვალების ასახვევად ამ ჯგუფებს უწოდებენ მსროლელებსა და ღამის დარაჯთა საზოგადოებას. მეცადინეობა მათ შორის სწარმოებს 2 ჯერ კვირაში.

კორპუსის შეიარაღება: მძიმე და მსუბუქი არტილერია და მძიმე ნაღმტყორცნი. გარდა ამისა ქვეითა ჯარის შეიარაღებას შეადგენს საშუალო და მსუბუქი ნაღმტყორცნები და მძიმე ტყვიამფრქვევები, აგრეთვე შაშხანები და ყარაბინები.

მთელი ეს შეიარაღება ინახება და რიგდება რეიხსვერის კანტროლ ქვეშ.

პასუხისმგებლობა სამობილიზაციო ნაწილში ეკისრება ლეგიონის უფროსს. ამასთან ყველა სამობილიზაციო სიები და გეგმები ინახება მხოლოდ ლეგიონის უფროსთან. გარდა ამისა, მობილიზაციის დროს, ლეგიონის უფროსს ეძლევა შავი სიები, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ ანდობენ მთავრობის არმიის თვით უმაღლეს თანამდებობის პირებსაც კი. შავ სიაში შეტანილია:

1. ებრაელთა სახელი და გვარი, რომლებიც მობილიზაციის დროს გადასახლებულ უნდა იქნან, ხოლო ქონება კი ჩამოერთვათ და 2. პოლიტიკურად არასაიმედოთა სახელი და გვარი, რომლებიც დაპატიმრებულ უნდა იქნან.

ბრძანება კორპუსის მობილიზაციის შესახებ გადაეცემა განგაშით: ტელეფონების, მორბედების, საეკლესიო ზარების, ცეცხლის შთანგების საშუალებით და სხვა. ხშირად ეწყობა საცდელი განგაში.

მთელი კორპუსის შესანახი ხარჯები ეკისრება მემამულეებსა და შეძლებულ გლეხობას. იხდიან 300 მარკას თვითეულ 2.000 მორგზე (ერთი მარკა=46 კაპ; ერთი მორგი უდრის დაახლოებით დესეტინის ერთ მესამედს).

ა. ბ.

### ამერიკელი ახალგაზრდობის გასამხედროება.

იმპერიალისტურმა ომმა აგრძნობია ამერიკის ბურჟუაზიას, რომ საჭირო არის მომზადებული თათარიგის ყოლა. სწორედ ამიტომ არ დააყოვნა მან და კიდევაც შეუდგა საბანაკო სამხედრო სწავლების გატარებას ახალგაზრდობაში.

ამ ორგანიზაციის დამაარსებლად ითვლება მთავარსარდალი გენერალი ვუდი, რომელმაც დააარსა 12 ბანაკი პლატცბურგში და ამდენივე ქვეყნის სხვა მხარეებში.

1920 წელში გადაწყვეტილი იქნა 10 ბანაკის მოწყობა კიდევ, რომლებშიდაც ღებულობს სამხედრო სწავლებას 11 ათასი ახალგაზრდა.

ბანაკებში გაყავთ ახალგაზრდობა 17 წ.—20 წლამდე სწავლება გრძელდება 4 წელიწადს. წელიწადში ერთი თვე და ამ ხნის განმავლობაში ისინი ღებულობენ ჩვეულებრივ სამუშაო ხელფასს.

სამხედრო სწავლების სამოქალაქო ბანაკები დიდ ფულს ხარჯავენ შესაკრებად წარმოებულ იუშაობისათვის. პროპაგანდის დროს ისინი მიუთითებენ, რომ „ბანაკები ისეთი ადგილებია სადაც მხიარულად შეიძლება იქნეს გატარებული არდადეგები.“

ასეთ სიტყვებს შეცდომაში შეყავთ მუშები, რადგან მწარმოებლებიდან ისინი ვერ ღებულობენ შვებულებას, სამუშაო ხელფასის შენახვით.

### წვევამდე მზადება ჩეხო სლავიაში.

ჩეხო-სლავიამ კარგა ხანია შემოიღო სავალდებულო წვევამდე მზადება. დებულება სავალდებულო წვევამდე მზადების შესახებ გამოცემული იქნა 1925 წელს. წვევამდე მზადება ეხებათ ახალგაზრდობას 19 წლის შესრულების შემდეგ ორი წლის განმავლობაში.

მთელი ახალგაზრდობა თავს იყრის თემებში სამხედრო წვევამდე სწავლების გასავლელად. მათ სათავეში სდგას ერთი მეთაური—უფროსი, რომლის განკარგულებაშია რამოდენიმე ინსტრუქტორი.

მაზრაში წვევამდე სამხედრო მზადების საქმეს განაგებს, სამაზრო ინსპექტორი. მაზრის ნაწილები ემორჩილებიან ინსპექტორს.

ჩეხო-სლავიის მთავრობას სასტიკი ზომები აქვთ შემოღებული მათ წინააღმდეგ ვინც აიცილებს თავიდან სამხედრო წვევამდე მზადებას.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### გვირაბები ოკეანის ძირზე.

ასეთი გვირაბები გაყავთ ამ ჟამად ახალი შოტლანდიის (ავსტრალია) ნაპირთან ამ ჟამად გაყვანილია შტულნები 3 მილის მანძილზე და შენდება გვირაბების მთელი რიგი.

ის სიძნელე, რომელიც მდგომარეობს წყალქვეშ გვირაბის გაყვანაში და ის ხარჯები, რომელიც ამ მუშაობით არის გამოწვეული (ერთი გვირაბის გაყვანა ჯდება ორნახევარი მილიონი მანეთი). სრულიად არ აკავებს მწარმოებლებს, რადგან აუარება ქვანახშირს იღებენ აქედან.

გამოანგარიშებულია, რომ აქ ქვანახშირის ჩანაწოლის მარაგი აღწევს ერთ მილიარდ ტონამდე (1 ტონი უდრის 61 ფუთს).

### ხე რომელიც არ იწვის.

ერთმა ამერიკელმა ბრენდიმ გამოიგონა ხის გასაჟღენთი ახალი საშვალება. ჩვეულებრივი ფიცარის ამ საშვალებით გაჟღენთის შემდეგ, ფიცარი ოთხი საათის განმავლობაში ჰქონდათ მოთავსებული ცეცხლის ალში. მიუხედავად ამისა ხე გაირუჯა მხოლოდ და არ დამწვარა.

ხისაგან აშენებულ სახლს, რომელიც გაჟღენთილი იქნა ამ ახალი საშვალებით, გადაასხეს ნავთი და წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ ნავთი დაიწვა და სახლი კი უვნებელი დარჩა.

ბრენდის გამოგონების საიდუმლოება დიდ ფულად შეისყიდა ერთმა ამერიკელმა ფირმამ.

### მფრინავი რონოდა.

ამას წინად ლონდონში ააგეს უზარმაზარი სამგზავრო ჰაეროპლანი, რომელიც იფრენს აზიასა და ევროპის შორის.

ჰაეროპლანი ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევით არის მოწყობილი. ჰაეროპლანში მოწყობილია დიდი სასადილო, დასასვენებელი დარბაზი—რბილი დგამით და სხვა.

მგზავრებს სამჯერ ეძლევათ დღეში ცხელი საჭმელი. ცენტრალური კაბინეთის ახლოს მოთავსებული არის ექვსი კაიუტა საწოლი ტახტებით, თითეულ ტახტთან კი ღამის მაგიდა სანათით. ჰაეროპლანის შუაგულში მოწყობილია კინო დარბაზი. ჰაეროპლანი იტევს 16 მგზავრს.

# პასუხი შეკითხვებზე

— ანასტასიევს. სამხ. ნორმალურ სკოლაში მოქალაქეს შეუძლია შესვლა მხოლოდ პარტორგანიზაციის საშვალებით. მიღება სწარმოებს 1—10 ოქტომბრამდე.

— შ—ძეს. თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 140 საშუალო და უფროს მეთაურებს არ ეკრძალებათ იარაღის ტარება იმ პირობით, თუ ისინი ფორმაში იქნებიან ჩაცმულნი.

— მიქაძეს. თანახმად № 604 ბრძანებისა შემოკლებაში მოხვედრილნი სამხ. პირნი ჩარიცხულნი იქნებიან სამოქალაქო სამსახურში.

— მასვე. ვისაც სამ წელზე ნაკლები უმსახურნია მას მიეცემა ორი კვირის ჯამაგირი და ვისაც 3—5 წლამდე უმსახურნია—თვენახევარის ჯამაგირი (ბრ. № № 285 და 402-26 წ.) ლოგინის მოწყობილობის შესახებ წაიკითხეთ ბრ. № 1903—22 წ.

— შენგელიას. თქვენი შეკითხვის შესახებ უნდა მიმართოთ სამხედრო პროკურორს.

— როინიშვილს. უნდა მიმართოთ სამნეო ნაწილის უფროსს.

— შანიკიანს. ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის ფული გერგებათ.

— გელაშვილს. სამაგიერო მიწა უსათუოდ უნდა მოგეცეთ მიმართედ მაზრის მიწის კომისიას.

— ნაშნიახიძეს. უძრავ ქონებიდან, ე. ი. მიწიდან ნაწილის მოთხოვნა არ შეუძლია, რადგან თქვენ ბიძაშვილს მიწა მიეცემა ქმართან, რაც შეეხება მოძრავ ქონებას აქედან მას თავისი წილის გატანა შეუძლია.

— კაკაშვილს. არ შეუძლია, რადგან ნიკოლოზის დროს გაცემული თამასუქები ყველა გაუქმებულია.

— ცხალაძეს. გერგებათ. მიმართედ თქვენს ნაწილის უფროსს.

— ჩიხჩალაძეს. გამსახლში გატარებული დრო არ გეთვლებათ ნამდვილ სამსახურში.

— გურულს. განწესებაში გასვლა გეკუთვნით.

— ბათუმელს. მოგვწერედ კონკრეტიულად რას კითხულობთ.

— ქაშიბაძეს. ყველა მოქალაქე ვალდებულია წვევამდე მზადება გაიაროს.

— გეწაძეს. მაზარა გეკუთვნით.

— № 45. წითელ არმიელს შეუძლია ცოლის შერთვა.

— ა. კ. წ. ა. არ შეუძლია კავშირის წევრი იყოს.

— ან—რიძეს. სარგებლობთ უფასო საექიმო დახმარებით.

— სამებელს. არ გეკუთვნით.

— უ. ს. ოჯახური მდგომარეობის გამო შეგიძლიათ იშუამდგომლოთ, რომ თქვენი შვილები მიღებულ იქნეს საბავშო სახლში (ბრ. № 1520—24 წ.)

— გილელს. გასაჩივრების უფლება გაქვთ.

— ცხენოსანს. სახელმწიფო ცხენების პირადი საჭიროებისათვის მოხმარება აკრძალულია (ბრ. 1115—22 წ.)

— ციველს. არ შეგიძლიათ.

— ვასოს. უვადო შვებულებაში დათხოვნილი არ იქნებით ბრ. № 367—26 წ.



# ჩვენი ფოსტა

ნ. კუბლაშვილს. თქვენი ლექსი—„წითელ ლაშქარს“ სუსტია. არ დაიბეჭდება.

გ. ლომიძეს. თქვენი წერილი გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ცისპირელს. თქვენი შენიშვნაც კედლის გაზეთისათვის არის გამოსადეგი. ჩვენს გაზეთში არ დაიბეჭდება.

ბადურაშვილს. შვებულება საერთოდ მოსპობილია წითელ არმიელებისათვის, თუ რაიმე საპატიო მიზეზი არ იქნა ამისათვის.

ილ. ამირაჯიბს. ლიტერის შესახებ მიმართედ ნაწილის უფროსს და ის აგიხსნით გეკუთვნით თუ არა.

„ქურხულს“ თქვენი ლექსი ახალწვეულებისადმი არ გამოდგა.

ა. ჩიქობავას. წერილი ახალწვეულებისადმი გამოუსადეგარია. მოგვწერეთ იმის შესახებ, თუ როგორ ხვდება ნაწილი ახალწვეულების მოსვლას და როგორ ინტერესს იჩენენ ახალგაზრდა წითელ არმიელები წითელი ყაზარმისადმი.

# წიგნების სარეკომენდაციო სია.

### პირველი საფეხურის პარტსკოლებისათვის.

**საუბარი მე 5 ე.**

1 ლენინი ნ. მე-18 ტომი გვ. 2?4—272
2. ლენინი ნ მე-18 ტომი გვ. 297—312
3 ლენინი ნ მე-18 ტომი გვ. 686—695
4. სტალინი ი. ს. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტ-ანგარიში მე-14 ყრილობაზე.
5. რ. კ. პ. (ბ) მე-13 ყრილობის რეზოლიუციები სამეურნეო მშენებლობის შესახებ.
6. ს. კ პ (ბ) მე-14 ყრილობის რეზოლიუციები.
7. ბუხარინი ნ. პარტია და ოპოზიცია
8. მახარაძე ფ. პარტია და ოპოზიცია.

**საუბარი მე-6-ე.**

1. საკ. კომ. (ბ) პარტიის ც. კ. და საკ. კომისიის პლენუმის რეზოლიუციები (12—23 ივლისის 1926 წ.)
2. სტალინი. საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.
3. ბუხარინი. პარტია და ოპოზიცია.
4. მახარაძე. პარტია და ოპოზიცია
5. ბუხარინი ნ. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-14 ყრილობის შედეგი.
6. Слепков. „Платформа Оппозиционного ликвидаторства“ „Большевик“ № 14 за 1926 г.

# რა უნდა იცოდეს ცხენოსანმა

### ცხენი თვალების პერიოდული ანთება.

ცხენის თვალების პერიოდული ანთების ქვეშ იგულისხმება თვალის მილიანი გარსის ანთება, რომელსაც ჯერ კიდევ შეუსწავლელი მიკრობი იწვევს და რამოდენიმე ხნის შემდეგ თვალის სიბრმავეს იწვევს. ზოგიერთი მეცნიერი ამ ავადმყოფობის ბუდედ დაბალ და ჭაობიან ადგილებსა სთვლიან. მათი აზრით, ასეთი ადგილების თივა, ბალახი და წყალი ძალიან მდიდარი არის ხსენებული მიკრობებით, რომლებიც ნაჩვენებ საკვებთან ერთად თანა ჰყვებიან ცხენს ჭამა-სმის დროს. მიკრობები სისხლის მოძრაობის საშუალებით ნაწლევებიდან თვალებში გადადიან და იქ გარსების უჩირქო ანთებას იწვევენ. დაბალ და ჭაობიანი ადგილებიდან მაღალ და ჯანმრთელ ადგილებზე გადაყვანილ ცხენებს თვალების პერიოდული ანთება არ უჩნდებათ, ხოლო მაღალ და ჯანმოთელ ადგილებიდან დაბალ და ჭაობიან ადგილებში გადაყვანილებს-კი თითქმის ყოველთვის.

ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ თვალის პერიოდული ანთება დაბალი და ჭაობიანი ადგილების კუთვნილებას წარმოადგენს.

ავადმყოფი თვალის წინა კამერის სითხე, რომ შეუშხაპუნოთ ცხენს საღ თვალში, უკანასკნელს თვალების პერიოდული ანთება დაემართება და შესაძლებელია ცხენი სრულიად დაბრმავდეს.

მიუხედავად იმისა, რომ თვალის პერიოდული ანთება ინფექციური ავადმყოფობაა, შთამომავლობით მშობლებიდან შვილებზე გადადის და ბევრი ცხენი ხდება მის მსხვერპლად. მეცნიერებს მისი გამომწვევი მიკრობი ჯერ კიდევ მაინც ვერ აღმოუჩენიათ და მით მასთან ბრძოლა ვერ გაუადვილებიათ.

ამ ავადმყოფობით შეპყრობილი ცხენი თვალს სინათლეს ვერ უსწორებს და სულ დახუჭული აქვს, განუწყვეტლად ცრემლი ჩამოსდის, თვალის ლორწოიანი გარსი გაწითლებული აქვს, რქოვანი გარსის გარშემო მდებარე სისხლის მილები დაბერილი არიან, თვით რქოვანი გარსის გამსჭვირვალობა მოკლებული და ბურდოიანია, თვალის წინა კამერაში ფიბრინოზული ან ფიბრინოზული და გემმორაგიული სითხეა ჩამდგარი, თვალის ბაია, რომელიც დახორკლიანებულია, აღარ ბრწყინავს, სისხლის მილები დაბერილია და გუგა დავიწროვებული. ასეთ მდგომარეობაში მყოფი თვალი რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ ნორმალურ სახეს ღებულობს და ავადმყოფობის არავითარ ნიშნებს აღარ იძლევა.

ორი-სამი კვირის ან ორი-სამი თვის განვლის შემდეგ პირველ ავადმყოფობიდან ხელახლად უხდება ცხენს თვალები ავად და იმავე წესით ურჩება მას ისინი, როგორც პირველად ავადგახდომის დროს. ცხენის ამგვარად დრო გამოშვებითი ავადგახდომა—მორჩენას იმ დრომდის შეიძლება იქნეს ადგილი, სანამ მას თვალის კაკალი სულ არ გამოუშრება და მხედველობა სულ არ დაეკარგება, რაიც ხან ადრე ხდება და ხან გვიან.

თვალების პერიოდული ანთება მხოლოდ მაშინ შეიძლება აღარ განუმეორდეს ცხენს, თუ მას დაბალი და ჭაობიანი ადგილიდან პირველ ავადგახდომისთანავე მაღალ და ჯანმრთელ ადგილზე გადავიყვანთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფობა არასოდეს ერთგზობითად არ გათავდება და რამოდენიმეჯერ განმეორების შემდეგ ბოლოს და ბოლოს ცხენი მაინც ორივე თვალებით დაბრმავდება.

მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით თვალების ანთების გამომწვევი მიკრობები ერთხელ და რამდენიმეჯერ მორჩენილ ცხენის თვალებში კიდევ დიდხანს სცოცხლობენ, თავის არსებობის არავითარ ნიშნებს არ იძლევიან, და რამოდენიმე ხნით მიყუჩების შემდეგ ისევ სიცოცხლეს იწყებენ, მრავლდებიან და განმეორებით თვალების ანთებას იწვევენ. მეორე ჯგუფის მეცნიერნი ამ აზრს არ ეთანხმებიან და ამტკიცებენ, რომ ყოველი შემთხვევა თვალების პერიოდული ანთებისა შედეგია ცხენის ამ სნეულებით ახლად ავად გახდენისა და არა ერთხელ და რამოდენიმეჯერ ავადგახდომის შემდეგ თვალში უკვე მყოფ და დროებით მიყუჩებულ მიკრობებისა.

ჩვენის შეხედულობით უკანასკნელი აზრი უფრო ახლოს არის ჭეშმარიტებასთან, ვინემ პირველი. ეს რომ ასეა, ამას ის მოვლენაც ამტკიცებს, რომ თვალების პერიოდული ანთება—გამოვლილი და ჭაობიანი ადგილიდან მაღალ ადგილზე გადაყვანილი ცხენი ამ ანთებით მეორედ ავად აღარა ხდება.

(დასასრული შემდეგ №-ში)

მაგისტრი თ. ლისიცინი.

# თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების საყურადღებოთ!!!

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია ამით აცხადებს, რომ ექსპედიციაში გაზეთების გაცემა თბილისის ნაწილებისათვის სწარმოებს კვირაობით დილის 8 საათიდან 10 საათამდე, დანარჩენ დღეებში კი დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე, რის შემდეგ გაზეთების გაცემა წყდება.

ამიტომ რედაქცია სთხოვს ნაწილებს თავის დროზე წაიღონ კუთვნილი რაოდენობა გაზეთებისა.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.